



ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი

წყლისა და სანიტარიული კვანძების  
სანიტარიულ-ჰიგიენური  
მონიტორინგი  
გურიის საჯარო სკოლებში

## მონიტორინგის ანგარიში



ოზურგათი

2012

წყლისა და სანიტარიული კვანძების  
სანიტარიულ-ჰიგიენური  
მონიტორინგი  
გურიის საჯარო სკოლებში

## მონიტორინგის ანგარიში

მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

ლევან მჭავანაძე  
მზია მეხუზლა  
თეა კუპრაძე

ოზურგეთი

2012

# სარჩევი

1. მოკლე ინფორმაცია განხორციელებული მონიტორინგის შესახებ	3
1.1. ზოგადი ნაწილი	3
1.2 მონიტორინგის გეოგრაფია	4
1.3. მონიტორინგის ჩატარების მეთოდოლოგია	5
2. ძირითადი ნაწილი	7
2.1. სასკოლო ინფრასტრუქტურის სტანდარტები საქართველოში	7
2.2. მონიტორინგის შედეგები	9
2.2.1 სკოლებიდან და რესურსცენტრებიდან მონოღებული რაოდენობრივი ინფორმაცია.	9
2.2.2 ფოკუს-ჯგუფების ანალიზი, ანუ ხარისხობრივი ინფორმაცია.	14
2.3. საერთო დასკვნები	16
2.4. რეკომენდაციები	17
გამოყენებული წყაროები	17
დანართი 1	18
ფოტოები	19

# 1. მოკლე ინფორმაცია განხორციელებული მონიტორინგის შესახებ

## 1.1. ზოგადი ნაწილი

საქართველო 1994 წლიდან შეუერთდა ბავშვთა უფლებების კონვენციას, რომელიც დეკლარირებს: „ბავშვთა უფლებები უზრუნველყოფს ბავშვების სიცოცხლის შენარჩუნებას, მათ განვითარებასა და კეთილდღეობას“.

2011 წელს UNICEF-ის მიერ მომზადდა ანგარიში „საქართველო და ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელიც საქართველოში ბავშვთა მდგომარეობას ეხება. ამ ანგარიშის მიხედვით, „სკოლებში, განსაკუთრებით სოფლად, ხშირად არ არის სათანადო სასმელი წყალი, სანიტარიული და ხელების დასაბანი პირობები და ხშირად გამოყენებულია შენობის გარეთ არსებული, ცუდ მდგომარეობაში მყოფი სანიტარიული წერტილები. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში მოსწავლეების ქცევის კვლევა ქვეყანაში არ ჩატარებულა, მცირემასშტაბიანმა შეფასებებმა და დაკვირვებებმა აჩვენა, რომ ბავშვებს არა აქვთ სათანადო ცოდნა წყლისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების შესახებ და, ზოგადად, ცუდად იცავენ ჰიგიენას“.

ჯერ კიდევ 2008 წელს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავდა არსებულ განსხვავებებს წყლისა და სანიტარიული პირობების ხარისხის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საქართველოს სოფლებში, და რეკომენდაციას უწევდა საქართველოს მთავრობას, გაეუმჯობესებინა სუფთა წყლისა და კანალიზაციის ხელმისაწვდომობა სკოლებში.

გურიის საჯარო სკოლებში წყლისა და სველი წერტილების სანიტარიულ-ჰიგიენური მონიტორინგის პროცესი 2011 წლის 1 მაისიდან 2012 წლის 30 ივლისამდე მიმდინარეობდა და მის განხორციელებაში ოზურგეთის „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ ერთად ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის კორპუსის წარმომადგენელიც მონაწილეობდა.

მონიტორინგისას ვხელმძღვანელობდით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდებული მასალებით სასკოლო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც შემდეგ მისამართზე განთავსებული: <http://www.esida.ge/>

**მონიტორინგის მიზანი** იყო, გამოგვევლინა, რამდენად შეესაბამება საქართველოში რეკომენდებულ სააღმზრდელო ნორმებს და სტანდარტებს გურიის რეგიონის საჯარო სკოლებში არსებული სველი წერტილების (წყლის ონკანები და ტუალეტები) მდგომარეობა.

მიზნიდან გამომდინარე, აპკ-ის მიერ აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა სველი წერტილების (ტუალეტების) სანიტარიული და წყლის სისტემის ფუნქციონირების მონიტორინგი გურიის სამივე მუნიციპალიტეტის 15 საჯარო სკოლაში.

## **მონიტორინგი, ძირითადად, სამი ეტაპისაგან შედგებოდა:**

### **პირველ ეტაპზე:**

- ჩამოყალიბდა მონიტორინგის გეგმა, ინდიკატორები;
- მომზადდა მონიტორინგის განხორციელების ინსტრუმენტები; განისაზღვრა კვლევის გეოგრაფია, მეთოდოლოგია, სამიზნე სკოლები.

### **მეორე ეტაპზე:**

- შესწავლილ იქნა საჯარო სკოლებიდან და რესურსცენტრებიდან გამოთხოვნილი ოფიციალური ინფორმაცია;
- ჩატარდა ფოკუს-ჯგუფის შეხვედრები ადგილობრივ სკოლებში მომუშავე მშვიდობის კორპუსისა და პროგრამა „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ მოხალისეებთან, საჯარო სკოლების მოსწავლეებთან, სკოლების ადმინისტრაციებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან, რის საშუალებითაც შეგროვდა დამატებითი ხარისხობრივი ინფორმაცია საჯარო სკოლების წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ (იხ. დანართი №3).

### **მესამე ეტაპზე:**

- გაანალიზდა მოპოვებული ინფორმაცია, მომზადდა მონიტორინგის ანგარიში და შემუშავდა რეკომენდაციები.

## **1.2 მონიტორინგის გამოვლენა**

მონიტორინგი განხორციელდა გურიის რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში. ინფორმაციის მაქსიმალური სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტებში არსებული ყველა საჯარო სკოლიდან (100 (96) საჯარო სკოლა) შერჩეულ იქნა 15 სკოლა (იხილეთ დანართი 1).

### **სკოლები შერჩა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:**

**ა) კონტინგენტი** — გათვალისწინებულ იქნა სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა და სამიზნე სკოლებად შერჩეულ იქნა როგორც მაღალკონტინგენტიანი, ასევე დაბალკონტინგენტიანი სკოლები.

**ბ) გეოგრაფიული მდებარეობა** – სკოლები შერჩეულ იქნა მათი გეოგრაფიული სპეციფიკის გათვალისწინებითაც. მაგალითად, ერთი სკოლა განლაგებულია მაღალმთიან ზონაში, მეორე წარმოადგენს ტიპურ აგრარულ ზონის სკოლას, მესამე – ურბანული დასახლებისას.

### 1.3. მონიტორინგის ჩატარების მეთოდოლოგია

მონიტორინგის პროცესში და ანგარიშის მომზადებისას გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: დოკუმენტაციის ანალიზი, ფოკუს-ჯგუფის შეხვედრები, ვიზუალური მასალის შეგროვება (ფოტოები).

#### ა) გამოთხოვნილ დოკუმენტებზე მუშაობა

მონიტორინგის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა შერჩეული საჯარო სკოლებიდან გამოთხოვნილი შემდეგი ინფორმაცია:

- ტუალეტების სექციების რაოდენობა სკოლაში;
- ტუალეტების რაოდენობა სკოლის შენობის გარეთ/სკოლის შენობაში
- რამდენად გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების საჭიროებები და შექმნილია თუ არა შესაბამისი გარემო ტუალეტებში;
- ბოლო 2 წლის განმავლობაში ტუალეტის რემონტზე ან მშენებლობაზე გამოყოფილი თანხა სკოლის ბიუჯეტში;
- მოწყობილია თუ არა ტუალეტთან ხელსაბანი;
- სკოლის ბიუჯეტში გამოყოფილი თანხის რაოდენობა ტუალეტის დეზინფექციისთვის, ტუალეტის ქალაქისთვის, საპონისთვის;
- არსებობს თუ არა სკოლაში დიდების და პატარების ტუალეტები ცალ-ცალკე;
- არსებობს თუ არა ცალკე გამოყოფილი ტუალეტი პედაგოგთათვის;
- რამდენ სკოლაშია სასმელი და რამდენში – ტექნიკური წყალი;
- რამდენ ადგილასაა წყლის ონკანი სკოლაში;
- რამდენ სკოლაშია არტეზიული წყა;
- დახურულია თუ არა არტეზიული წყა;
- ჰქონდათ თუ არა სკოლებს ბოლო 2 წლის განმავლობაში წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად გამოყოფილი თანხა სკოლის ბიუჯეტში;
- დამლაგებლების რაოდენობა სკოლაში;
- სკოლის ბიუჯეტში სკოლის დამლაგებლისთვის გამოყოფილი თანხა;
- სკოლის შენობის მთლიანი ფართი;
- სკოლის თანამშრომლების საერთო რაოდენობა.

გამოთხოვნილი ინფორმაცია საშუალებას მოგვცემდა, შეგვეფასებინა მონიტორინგისას ჩვენ მიერ განსაზღვრული ინდიკატორები:

- სანიტარიულ-ჰიგიენური საჭიროებებისთვის სკოლების მიერ განეული ხარჯების წილი სკოლის მთლიან ბიუჯეტთან მიმართებით;
- საშუალოდ, მოსწავლეთა გარკვეულ რაოდენობაზე გათვლილი სანიტარიული სექციების რეალური რიცხვის შედარება სკოლაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ რეკომენდებულ რაოდენობასთან;
- იმ სკოლების პროცენტული წილი (სკოლების საერთო რაოდენობასთან შეფარდებით), სადაც სასმელად ვარგისი წყალია (ლაბორატორიულად გასინჯიული).
- სხვადასხვა საჯარო სკოლაში არსებული სანიტარიული მდგომარეობის შედარება ერთ დამლაგებელზე გათვლილი ფართის მიხედვით;
- დამლაგებლების რაოდენობის პროცენტული წილი საჯარო სკოლებში სკოლის მთლიან შტატთან მიმართებით;
- სოფლის სკოლების სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შედარება ქალაქის სკოლებთან.

## **ბ) ფოკუს-ჯგუფი**

ჩატარდა სამი ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა მონიტორინგის პროცესში ჩართული სკოლების მომხმარებელთა მონაწილეობით, კერძოდ:

- I ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა — მოსწავლეებთან;
- II ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა — მშობლებთან, მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან;
- III ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა — სკოლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთვის“ და ამერიკის მშვიდობის კორპუსის ამერიკელ მოხალისეებთან.

თითოეული ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო მონიტორინგისას საჯარო სკოლებისგან მიღებული მონაცემების გადამოწმება და სკოლების წყლით მომარაგებისა და სველი ნერტილების (ტუალეტები) სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის მხრივ არსებული რეალური მდგომარეობის შესწავლა.

## 2. ძირითადი ნაწილი

„უსაფრთხო სასმელი წყალი და სათანადო სანიტარიული პირობები გადამწყვეტია სიღარიბის დაძლევისათვის, გადამწყვეტია მდგრადი განვითარებისათვის და გადამწყვეტია ათასწლეულის განვითარების თითოეული მიზნის მიღწევისათვის.“

### ბან კი-მუნე

გაეროს გენერალური მდივანი

#### 2.1. სასკოლო ინფრასტრუქტურის სტანდარტები საქართველოში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებ გვერდზე 2010 წლის 10 ივნისის სიახლეებში განთავსებულ იქნა შემდეგი ინფორმაცია: „სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ ორგანიზებულ იქნა სემინარი, რომელიც სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების საკითხებს შეეხო.

სემინარი განხორციელდა საერთაშორისო ორგანიზაცია World Learning/Forecast Georgia-ს და სააგენტოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში. აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი 2009 წლის 4 დეკემბერს მოეწერა, რომლის ფარგლებში ხორციელდებოდა ერთნაირი პროექტი, რომლის მიზანი იყო: ადგილობრივ ხელისუფლებასა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე სასკოლო ინფრასტრუქტურის გენერალური გეგმისა და თანამედროვე სკოლის სამშენებლო და სარეაბილიტაციო სტანდარტების შემუშავება“.

ჩვენ მოვიპოვეთ სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ მომზადებული ზოგადი რეკომენდაციები და მოთხოვნები, რომლებიც თანამედროვე სკოლების დაგეგმვისას უნდა იქნეს გათვალისწინებული. გათვალისწინებული იქნა იმ ნაწილს, რომელიც ჩვენი მონიტორინგის ინდიკატორებს უშუალოდ უკავშირდება:

- სანიტარიული კვანძი არ უნდა განთავსდეს შენობის შესასვლელის პირდაპირ ან მასთან ახლოს. იმ დასახლებებისთვის, სადაც არ არის ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა, სანიტარიული კვანძის ბლოკი სავალდებულოა, განთავსდეს სასკოლო ტერიტორიაზე, ცალკე მდგომი შენობის სახით;



- სანიტარიული კვანძები მოსწავლეებისათვის უნდა განთავსდეს სქესის მიხედვით, უშუალოდ სარეკრეაციო ზონასთან და შესვლა ხდებოდეს მუდმივ განიავებადი ტამბურის საშუალებით;

- მოსწავლეებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს: ყოველ 30 ბიჭზე – 1 უნიტაზი, 1 ხელსაბანი, 1 პისუარი; ყოველ 40 გოგონაზე – 1 უნიტაზი, 2 ხელსაბანი. მასწავლებლებისთვის: 20 მამაკაცზე – 1 უნიტაზი, 1 ხელსაბანი; 10 ქალზე – 1 უნიტაზი, 2 ხელსაბანი;

- სანიტარიული კვანძის კაბინის ზომები: 0.9X1.2 მ;

- ხელსაბანისთვის საჭირო ფართის ზომები: 0.70X1.10 მ;

- საშხაპე კაბინის ზომები: 0.9X0.9 მ;

- პისუარისთვის საჭირო ფართის ზომები: 0.70X1.10 მ.

- ცივი წყლის გაყვანილობა უნდა იყოს გათვალისწინებული: ხელსაბანებთან I-VI კლასების თითოეულ საკლასო ოთახში, ხაზვის და სახვითი ხელოვნების კაბინეტში, ლაბორატორიული მაგიდების ნიჟარებთან საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, სანიტარიული კვანძების ჩასარეცხავზებთან, სასმელ შადრევნებთან რეკრეაციულ სათავსებში;

- ცივი და ცხელი წყლის გაყვანილობა უნდა იყოს გათვალისწინებული: ხელსაბანთან სამასწავლებლოში, ექიმის კაბინეტში, ლაბორატორიულ კარადასთან საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში, სამეურნეო მომსახურების ონკანებთან, სანიტარიული კვანძების ხელსაბანებთან, შხაპებთან, ტექნოლოგიურ დანადგარებთან კვების ბლოკში.

- გათვალისწინებული უნდა იყოს სანიტარიული კვანძი შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის შიდა ზომებით: სიგანე – 1,65 მ; სიღრმე – 1,8 მ; სანიტარიული კვანძის კარი უნდა იღებოდეს გარეთ.

- გათვალისწინებული უნდა იყოს ცალკე სასწავლო სექციები I-VI, VII-IX, X-XII კლასებისათვის დამოუკიდებელი რეკრეაციებითა და სანიტარიული კვანძებით, ამასთან, I-VI კლასები (I-II კლასები მაინც) უნდა განთავსდეს იზოლირებულად, დამოუკიდებელი შესასვლელით, ფოიეთი, ღია გარდერობით და სანიტარიული კვანძებით;

- სასურველია დირექტორის კაბინეტისა და სამასწავლებლოს (თავისი სან. კვანძებითა და გარდერობით) პირველ სართულზე ერთმანეთის გვერდზე განლაგება.

## 2.2. მონიტორინგის შედეგები

მონიტორინგის შედეგების დეტალურად გაცნობამდე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება შემდეგი დასკვნა გაკეთდეს: საჯარო სკოლებში არსებული სანიტარიულ-ჰიგიენური ინფრასტრუქტურის მდგომარეობა ძალიან შორსაა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ მომზადებული ზოგადი რეკომენდაციებისგან, რომელსაც სამინისტრო სატენდერო წინადადებაში გასათვალისწინებლად სთავაზობს სამშენებლო კომპანიებს.

### 2.2.1 სკოლებიდან და რესურსცენტრიდან მონოღებული რაოდენობრივი ინფორმაცია


კითხვაზე, ჰქონდა თუ არა კონკრეტულ სკოლას ბოლო 2 წლის განმავლობაში ტუალეტის რემონტზე ან ტუალეტის მშენებლობაზე გამოყოფილი თანხა სკოლის ბიუჯეტში, შემდეგი მონაცემები მივიღეთ (იხ. დიაგრამა №1).




თუ რესურსცენტრიდან მიღებულ მონაცემებს შევადარებთ, რომლებიც 66 სკოლის მონაცემებს ასახავს, აქ თითქმის იგივე სურათი მივიღეთ, ანუ 2 წლის განმავლობაში სკოლების მხოლოდ 20%-ს ჰქონდა გამოყოფილი თანხა სანიტარიული კვანძის მომსახურებაზე.

მიღებული მონაცემებით 15-დან 4 (27%) სკოლაში საერთოდ არაა გამოყოფილი თანხა ბიუჯეტში ტუალეტის დეზინფექციისთვის, ტუალეტის ქაღალდისთვის, საპონისთვის, 11 სკოლაში კი გამოყოფილია. საეჭვოა, რამ-

დენად სწორია ეს მონაცემები, რადგან, ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, მხოლოდ 2-მა სკოლამ მოგვანოდა ბიუჯეტის ასლი. ამ მონაცემების გადამოწმების საშუალება მონიტორინგის ჯგუფს არ მიეცა იმის გამო, რომ მხოლოდ 2-მა სკოლამ წარმოადგინა სკოლის ბიუჯეტის ასლი.




საშუალოდ, სკოლის ბიუჯეტის მიხედვით, ერთ ადამიანზე ტულეტის დეზინფექციისთვის, ტულეტის ქაღალდისთვის, საპონისთვის (სასწავლო წლის განმავლობაში) 40 თეთრია გამოყოფილი. დიაგრამაზე კარგად ჩანს სკოლების რიცხოვნობის მიხედვით არსებული მდგომარეობა.




სკოლებიდან მონოდებული ინფორმაციის გადამუშავების შედეგად, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბიუჯეტში ერთ თვეზე, საშუალოდ, 9,56 ლარია გამოყოფილი ტულეტის დეზინფექციისთვის, ტულეტის ქაღალდისთვის, საპონისთვის.

თუ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ მომზადებულ ზოგად რეკომენდაციებს გავისვენებთ, „ყოველ 30 ბიჭზე 1 უნიტაზი, 1 ხელსაბანი, 1 პისუარი; ყოველ 40 გოგონაზე 1 უნიტაზი, 2 ხელსაბანი; მასწავლებლებისთვის: 20 მამაკაცზე 1 უნიტაზი, 1 ხელსაბანი; 10 ქალზე 1 უნიტაზი, 2 ხელსაბანი“ უნდა იყოს. ამ მხრივ სკოლებში ძალიან ცუდი მდგომარეობაა. საშუალოდ, სკოლის 50 მომხმარებელზე ტუალეტის 1 სექცია მოდის. სოფლების სკოლებში საგანგამო მდგომარეობაა, რაც კარგადაა ასახული ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე.



ძალიან ცუდი მდგომარეობაა ხელსაბანების როდენობის მიხედვითაც. საშუალოდ, სკოლის 118 მომხმარებელზე 1 ხელსაბანი სექცია მოდის.



გამოკითხული 15 სკოლიდან (მათ შორის ქალაქის ტიპის 5 სკოლა) ძირითადი შენობის შიგნით მხოლოდ 3 სკოლას აქვს შეტანილი სანიტარიული კვანძი. რეკომენდაციის მიხედვით, იმ დასახლებებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური საკანალიზაციო სისტემა, სანიტარიული კვანძის ბლოკი სავალდებულოა, განთავსდეს სასკოლო ტერიტორიაზე, ცალკე მდგომი შენობის სახით.



მონოდეული ინფორმაციის შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებზე მხოლოდ 3 სკოლას აქვს ნაწილობრივ ადაპტირებული სანიტარიული კვანძი.

რეკომენდებული სტანდარტის მიხედვით, დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის განცალკევებით უნდა იყოს გამოყოფილი სანიტარიული კვანძი. აღნიშნული სტანდარტი მხოლოდ 2 სკოლაშია დაცული.



ასევე ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი ტუალეტი პედაგოგთათვის. ამ მხრივ ცოტათი უკეთესი სურათი მივიღეთ, რადგან 15 სკოლის ბენეფიციარების გამოკითხვის მიხედვით, 10 სკოლაში სანიტარიული კვანძი პედაგოგთათვის ცალკეა გამოყოფილი.

არადამაკმაყოფილებელი სიტუაციაა სკოლების წყლით მომარაგების სფეროშიც. რესურსცენტრებიდან მიღებული 66 სკოლის მონაცემის მიხედვით, შემდეგი სურათი მივიღეთ: 14 სკოლაში მხოლოდ ტექნიკური (არასასმელი) წყალია, 50-ში სასმელად ვარგისი, ხოლო 2 სკოლაში საერთოდ არაა წყალი.

სკოლების 40%-ს საკუთარი ჭა აქვს. ჭების უმრავლესობა (1 სკოლის გარდა), უსაფრთხოების ნორმების შესაბამისად, დახურულია.

67%-ს აგრეთვე აქვს წყლის სარეზერვო ავზი და გამართული წყალსაქანი.

რესურსცენტრებიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, 2 წლის განმავლობაში მხოლოდ 12 სკოლას (66 სკოლიდან) ჰქონდა გამოყოფილი თანხა სასმელი წყლის საკითხის მოსაწესრიგებლად (იგულისხმება ჭის ან ონკანის გამართვა და ა.შ.).

სანიტერესო სურათი მივიღეთ სკოლებში დამლაგებლების საქმიანობის შესახებ. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საშუალოდ, ერთ დამლაგებელს 850 კვადრატული მეტრი სკოლის შენობის ფართის დალაგება უწევს. საეჭვოა, რომ ერთმა ადამიანმა შეძლოს ამხელა ფართის ხარისხიანი დალაგება.

სიფლა - ფართი 6604	სიფლა - ფართი 4950	სიფლა - ფართი 3266	სიფლა - ფართი 1276	სიფლა - ფართი 3174	სიფლა - ფართი 1574	სიფლა - ფართი 2420	სიფლა - ფართი 513	სიფლა - ფართი 1163	სიფლა - ფართი 570	სიფლა - ფართი 530	სიფლა - ფართი 4717	სიფლა - ფართი 1396	სიფლა - ფართი 1042	სიფლა - ფართი 2128	საშუალოდ
1651	990	1089	638	794	315	484	457	1163	285	265	2359	1396	347	532	850.90

## 2.2.2 ფოკუს-ჯგუფების ანალიზი, ანუ ხარისხობრივი ინფორმაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წყლისა და სანიტარიული კვანძების მონიტორინგის ფარგლებში ჩატარდა სამი ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა, სადაც შეგროვდა ხარისხობრივი ინფორმაცია.

**შეკითხვაზე, თუ როგორი სანიტარიული მდგომარეობა იყო იმ სკოლებში, სადაც რესპოდენტი მუშაობდა/სწავლობდა, შემდეგი პასუხი მივიღეთ:**

მონაწილეთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ სკოლებში სველი წერტილები კატასტროფულ მდგომარეობაშია (იხ. დანართი ფოტოების სახით). სოფლის სკოლებში სასკოლო ტუალეტები განლაგებულია ეზოში, შენობიდან მოშორებით. ისინი არაა მიერთებული კანალიზაციასთან; არ არის წყალი არა მხოლოდ ჩასარეცხად, არამედ ხელის დასაბანადაც; ზედმეტია ლაპარაკი ტუალეტის ქალაღზე. იშვიათ შემთხვევაში არის წყალი, მაგრამ ხელსაბანი (ნიჟარა) დამონტაჟებულია ტუალეტიდან მოშორებით; არ არის საპონი და ხელის გასამშრალელები. ზოგიერთ სკოლაში ტუალეტებს არა აქვს კარები, დაზიანებულია მათი სახურავი.

ქალაქის და რამდენიმე სოფლის სკოლაში ტუალეტები განლაგებულია სკოლის შენობაში, მაგრამ, გამდინარე წყლის არარსებობის გამო, ტუალეტებში საშინელი სუნი და ანტისანიტარიაა. სუნი აღწევს დერეფანსა და საკლასო ოთახებშიც და გაუსაძლის პირობებს ქმნის. საპონი, ტუალეტის ქალაღი (მოსწავლეები ტუალეტის ქალაღის ნაცვლად წიგნიდან, რვეულიდან ამოხეულ ფურცლებს იყენებენ) და ხელის გასამშრალელები არც ერთ სკოლაში არ არის.

„ისეთი საშინელი სუნია, რომ გაკვეთილების ჩატარება ტუალეტის სიახლოვეს მდებარე ოთახებში სპეციალური ნიღბის გარეშე, ფაქტობრივად, შეუძლებელია,“ – განაცხადეს მოხალისეებმა.

„მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სკოლაში ტუალეტები ახალგარემონტებულია, იმის გამო, რომ არ არის მუდმივი წყალი, შენობაში გაუსაძლისი სუნია, რაც ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესის ნორმალურად ჩატარებას და, შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაცია იძულებულია, ზედა სართულზე ჩაკეტოს ტუალეტები, რაც ინვესტ რეკომენდებული სტანდარტის დარღვევას.“

**კითხვაზე, სარგებლობენ თუ არა მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები ან თვითონ მოხალისეები ტუალეტით, პასუხი ასეთი იყო:**

მოხალისეები, მასწავლებლები და მოსწავლეები აცხადებენ, რომ მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობის დროს სარგებლობენ სკოლის ტუალეტით.

ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ ზოგ სკოლაში მასწავლებლებს

ცალკე ტუალეტი აქვთ და იმით სარგებლობენ, თუმცა იქაც არ არის გამდინარე წყალი და არ არსებობს საპონი.

**კითხვაზე, მშობლებს, მასწავლებლებს ან მოსწავლეებს გამოუხატავთ თუ არა ოდესმე უკმაყოფილება იმ მდგომარეობის გამო, რომელიც სკოლის ტუალეტებშია, პასუხები შემდეგი იყო:**

რამდენიმე სკოლის მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ სამეურვეო საბჭოს სხდომაზე გაიტანეს საკითხი სკოლის მოუწესრიგებელი სანიტარიული მდგომარეობის შესახებ, თუმცა მას რეაგირება არ მოჰყოლია. ასევე, ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლებმა გამოხატეს უკმაყოფილება, თუმცა არა დირექტორთან და არა ოფიციალური სახით. რაც შეეხება მშობლებს, მათ პრეტენზია ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოუხატავთ არც სკოლის ადმინისტრაციასთან და არც სამეურვეო საბჭოსთან. მასწავლებელთა ნაწილი საჯაროდ არ გამოხატავს უკმაყოფილებას, თუმცა ისინი მოსწავლეებს სდებენ ხოლმე ბრალს სკოლაში მოუწესრიგებელი სანიტარიული მდგომარეობის გამო (საუბარია ვანდალიზმის შემთხვევებზე, როდესაც მოსწავლეები თვითონ აზიანებენ სასკოლო ინვენტარს, ამ შემთხვევაში, ონკანებსა და სანიტარიულ სექციებს).

მოხალისე მასწავლებელი აღნიშნავს: „ვესაუბრე სკოლის დირექტორს თანხების მოძიებასთან დაკავშირებით, რომ სკოლაში სანიტარიული მდგომარეობა გამოსწორებულიყო, ასევე გამოვითხოვე ინფორმაცია პროგრამა თეჩ-ის (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო) ადმინისტრაციისგან იმის შესახებ, არსებობს თუ არა დაფინანსების შესაძლებლობა სველი წერტილების რეაბილიტაციისათვის. ყოველთვის ანგარიშშიც მივანოდე სამინისტროს ინფორმაცია, მაგრამ პასუხი არ მიმიღია.

**კითხვაზე, თუ როგორ შეიძლება სიტუაციის გამოსწორება, შემდეგი პასუხები მივიღეთ:**

რთულია, გაკონტროლდეს, თუ ვინ აზიანებს ტუალეტებს, ან როგორია წყლის მიწოდების გრაფიკი. თუმცა აუცილებელია, ბავშვებისთვის დაიგეგმოს რაიმე ტრენინგი პირადი ჰიგიენის დაცვასთან დაკავშირებით და არა მარტო ბავშვებში, დიდებშიც, რადგან, ზოგადად, ასამაღლებელია მოსახლეობის კულტურა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის თვალსაზრისით.

აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია სკოლაში. მოსწავლეებმა უნდა შეიძინონ პირადი ჰიგიენის დაცვის უნარ-ჩვევები, გაიზარდოს მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებულობა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით; მათ ასევე უნდა იცოდნენ იმ საფრთხეების შესახებ, რასაც სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაუცველობა იწვევს.

სკოლამ უნდა შეიმუშაოს ცვლილებები შინაგანანესში და მოახდინოს რეაგირება დარღვევებზე (ტუალეტების დაზიანება).



გაიზარდოს დამლაგებლების შტატი და გაუმჯობესდეს მათი მუშაობის ხარისხი (ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ბევრგან საკლასო ოთახები სველი წესით მხოლოდ კვირაში ერთხელ იწმინდება, ხშირად მოსწავლეებს უწევთ თავიანთი საკლასო ოთახების დალაგება, რადგან დაბალი ხელფასის გამო დამლაგებლები უარს აცხადებენ სასკოლო ოთახების ყოველდღიურ დალაგებაზე. ეს არ ეხება სკოლის დირექტორის კაბინეტსა და სამასწავლებლოს).

საჭიროა, დირექციამ უზრუნველყოს სანიტარიული კვანძები საპონით, ტუალეტის ქალაღით, დაცული უნდა იქნეს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. ეს საკითხები გათვალისწინებულ უნდა იქნეს სკოლის ბიუჯეტში.

მოხალისე მასწავლებელი: უფრო ბევრი საპირფარეშო უნდა იყოს, საჭიროა წყლის, საპნის, ტუალეტის ქალაღის მიწოდება, სუნის გაქრობა. ვფიქრობ, სუნი იმისგან კი არ არის, რომ სისუფთავე არაა დაცული, უფრო მეტად, ეს დაკავშირებულია თვითონ ტუალეტების არასწორ კონსტრუირებასთან (სტანდარტებთან შეუსაბამობა, გამწოვების არარსებობა).

**როგორ ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს თქვენს ჯანმრთელობაზე მოუწესრიგებელი სველი წერტილები, უწყლობა და პირადი ჰიგიენის საშუალებების არარსებობა სკოლაში?**

მოსწავლეები და მასწავლებლები აცხადებენ, რომ იყო ბოტკინის რამდენიმე შემთხვევა, მაგალითად, აღნიშნეს, რომ „ტუალეტთან ახლოს, ეზოში გაშენებულია ხეხილი. მოსწავლეები ხშირად ტუალეტით სარგებლობის შემდეგ, დაუბანელი ხელებით კრეფენ ხილს და ჭამენ, ასევე ხელდაუბანელები შედიან სკოლის ბუფეტში. ზოგ მოსწავლეს ურჩევნია, მოითმინოს და არ შედის ტუალეტში, თუმცა ეს კიდევ სხვა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს.

### 2.3. საერთო დასკვნები

სკოლებიდან და საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან მოწოდებული რაოდენობრივი ინფორმაციისა და ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების შეხვედრების მასალების ანალიზის შედეგად ჩვენ მიერ გაკეთებულ იქნა შემდეგი დასკვნები:

- საჯარო სკოლებში სანიტარიული წერტილები უმეტესად მოუწესრიგებელია; არის შემთხვევები, როცა სანიტარიული მდგომარეობა სკოლაში კატასტროფულ მდგომარეობაშია.

- სკოლის ბენეფიციარებში დაბალია პირადი ჰიგიენის კულტურა. ხშირია ვანდალიზმის ფაქტების შემთხვევები ტუალეტებში. მშობლები და მოსწავლეები თითქმის არ აპროტესტებენ სანიტარიული ნორმების არარსებობას სკოლებში; თუმცა, სადაც უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ამას შედეგი თითქმის არ მოჰყვება. დაბალია ჯანმრთელობის საფრთხეებზე მოსწავ-

ლევების ინფორმირებულობის დონე, ირღვევა კონვენციაში დაფიქსირებული ბავშვთა უფლებები, სადაც საუბარია, რომ მოზარდმა განათლება ჯანსაღ გარემოში უნდა მიიღოს.

- სახელმწიფოში (სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება, სკოლის ადმინისტრაცია) სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა პრიორიტეტს არ წარმოადგენს. სკოლის მწირი ბიუჯეტით შეუძლებელია ამ საკითხის მოგვარება.

## 2.4. რეკომენდაციები

სასურველია, რომ:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაამტკიცოს სასკოლო ინფრასტრუქტურის სტანდარტები და შემდგომში ადგილობრივ თვითმმართველობებთან ერთად უზრუნველყოს საჯარო სკოლებში წყალმომარაგებისა და სანიტარიული კვანძების შესაბამისობა დამტკიცებულ სტანდარტთან.

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასწავლო პროცესში ჰიგიენური განათლების კომპონენტის ჩართვით ხელი შეუწყოს მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლებას პირადი ჰიგიენის დაცვის შესახებ.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გადახედოს სკოლების დაფინანსების არსებულ მოდელს და ცვლილებები შეიტანოს მასში, რათა ის ქმედითუნარიანი გახდეს და რეალურად უზრუნველყოს სკოლაში მის მოსარგებლეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოება.

- მეტი ყურადღება მიექცეს სკოლებში წყალმომარაგებას, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების ზედამხედველობასა და მონიტორინგს.


- აუცილებელია დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის საჭირო გარემოს ადაპტირების მიზნით.


### გამოყენებული წყაროები:


1. ბავშვთა უფლებების კონვენცია
2. UNICEF-ის 2011 წლის ანგარიში „საქართველო და ბავშვთა უფლებების კონვენცია“
3. „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ მიერ მომზადებული ზოგადი რეკომენდაციები სასკოლო ინფრასტრუქტურის შესახებ.

დანართი №1 - მონიტორინგისთვის შერჩეული სკოლების მონაცემები

№	სკოლა	დირექტორი	ტელეფონი	მოსწავ რაოდ.	მუნიციპალი- ტეტი	სკოლის ტიპი
1	№2 საჯარო სკოლა	ირინე შარაბიძე	577973813	162	ღანჩხუთი	ქალაქი
2	მამათის საჯარო სკოლა	გორა ებრაძე	577971187	86	ღანჩხუთი	სოფელი
3	ჩიბათის საჯარო სკოლა	თინათინ გოგუელია	577973877	179	ღანჩხუთი	სოფელი
4	ნიგეზიანის საჯარო სკოლა	ამირან დობორჯგინიძე	577971150	253	ღანჩხუთი	სოფელი
5	№1 საჯარო სკოლა	მია თავართქილაძე	577724700	591	ოზურგეთი	ქალაქი
6	№2 საჯარო სკოლა	მარინა ჯაფარიძე	577941166	910	ოზურგეთი	ქალაქი
7	№3 საჯარო სკოლა	ნანა გაგუა	577941116	236	ოზურგეთი	ქალაქი
8	ნაგომრის საჯარო სკოლა	ნოდარ წიტაი შვილი	577941170	137	ოზურგეთი	სოფელი
9	მაცვანეთის საჯარო სკოლა	ამირან თოიძე	577941158	196	ოზურგეთი	სოფელი
10	ურეკის საჯარო სკოლა	გია მალდაკელიძე	577941179	383	ოზურგეთი	დაბა
11	№1 საჯარო სკოლა	ხათუნა წიფლოსანი		606	ჩოხატაური	ქალაქი
12	განზომილეთის საჯარო სკოლა	რეზო ვადაჭკორია	593235530	85	ჩოხატაური	სოფელი
13	განახლების საჯარო სკოლა	ლალი ყაჭვი შვილი	558116399	112	ჩოხატაური	სოფელი
14	გუთურის საჯარო სკოლა	ნანი შარაშიძე	599322067	139	ჩოხატაური	სოფელი
15	ქვაბლის საჯარო სკოლა	ლილი კახანდაძე	555420893	113	ჩოხატაური	მალაღმთიანი სოფელი







**ასალგაზრდა პედელაგოგთა კავშირი**

ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის 3ა  
[www.apk.ge](http://www.apk.ge)